სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

განცხადება

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ

ქალბატონო ელენე,

შპს ,,დე გე დე''-ს საქმიანობის სფეროს წარმოდგენს ასფალტის წარმოება. საწარმო განთავსებულია გარდაბანის მუნიციპალიტეტში, სოფელი გამარჯვების ტერიტორიაზე, არასასფლო-სამეურნეო დანიშნულების 7021 მ² ფართობზე (ს/კ: 81.07.08.602). გარდაბანის მუნიციპალიტეტში, სოფელი გამარჯვებაში ასფალტის წარმოებაზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№84; 15/11/2017) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრანება N507/ს; 8.12.2022 წ).

დღეის მდგომარეობით, საწარმოს ოტიმიზაციის მიზნით, შპს ,,დე გე დე''-ს დაგეგმილი აქვს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის განხორციელება და ახალი ტექ-ერთეულების, მათ შორის მინერალური ფხვნილის (ფილერი) მწარმოებელი და ქვიშა-ღორღის გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზების დამტება.

ვინაიდან, შპს ,,დე გე დე''-ს მირ დაგეგმილია ასფალტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, ხოლო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია დაკავშირებული რყოს გარემოზე და მათ შორის ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რომელიც მართვის მიზნით საჭირო იქნება სათანადო გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, მიღებული იქნა გადაყვეტილება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ეტაპის/პროცედურის გავლის გარეშე ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიშის და შესაბამისი განცხადების შემუშავებასთნ დაკავშირებით.

კოდექსის მე-5 მუხლის 12¹ ნაწილის საფუძველზე, თუ საქმიანობის განმახორციელებელი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას გეგმავს, იგი უფლებამოსილია სააგენტოს ამ კოდექსის 7¹ მუხლით დადგენილი წესით, სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე წარუდგინოს განცხადება და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში. ამ შემთხვევაში გამოიყენება ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსის 7¹ მუხლით დადგენილი პროცედურა.

საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ დადგენილი წესით, ასევე 2025 წლის 24 სექტემბერს საქართველოს მთავრობის №417 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„30“ 03 2026 წ.
№ 4616

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის“ მიხედვით, შემუშავდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიში ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ და სათანადო დოკუმენტაცია.

განხილვისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენთ საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუემნტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართები:

<u>მატერიალური და ელექტრონული დანართები:</u>

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, შესაბამის დანართებთან ერთად - ერთი ეგზემპლარი;
- არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლარი;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ზდგ) - ორი ეგზემპლარი;
- გზშ-ის მოსაკრებელი - ერთი ეგზემპლარი;

<u>ელექტრონული დანართები:</u>

1. Shp ფაილები..

პატივისცემით,

შპს „დე გე დე"-ს დირექტორი
ბაჩუკი ბერიძე

30.03.2026